პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 იანვარი, შაბათი, 1989 წ.
№ 5 (9922) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

NEWSPAPER "LELO"
CHIEF EDITOR
LENIN STREET 14
TBILISI
GEORGIAN
USSR

ფიფა-ს საახალწლო მოლოცვა

1985 წელს თბილისმა იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს უმასპინძლა. იმ დღეებში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო აველანჟიც გვეწვია. პრეზიდენტმა მაშინ პირველად აიღო ხელში ჩვენი გაზეთი და დაგვპირდა, რომ მომავალში არ გაწყვეტდა ურთიერთობას „ლელოს“ რედაქციასთან. აველანჟმა სიტყვა შეასრულა — სისტემატურად გვიგზავნის ფიფა-ს ბიულეტენებს, ჟურნალებს, უახლეს საინფორმაციო მასალებს, რასაც დროდადრო ჩვენს მკითხველებს ვაცნობთ ხოლმე.

და აი, გუშინ ციურიხიდან, ფიფა-ს შტაბბინიდან, საახალწლო მოლოცვა მივიღეთ, რომელსაც ხელს აწერენ ჟოაო აველანჟი და ფიფა-ს გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა არდადეგებზე

მასობრიობა მაინც არ იგრძნობა

ამჯერად ვეწვიეთ თბილისის საქარხნო რაიონის 83-ე, 108-ე, 124-ე, 145-ე და 117-ე საშუალო სკოლებს.

145-ე საშუალო სკოლაში ტარდებოდა „მხიარული სტარტები“. სასურველი იყო უფრო მეტ ბავშვს მიეღო მასში მონაწილეობა, მაგრამ ალბათ მოასპარეზეთა სიმცირე ძლიერი ქარითაც შეიძლება აიხსნას.

109-ე საშუალო სკოლაში დაგეგმილი მაგიდის ჩოგბურთის ნაცვლად თამაშობდნენ ფრენბურთს.

83-ე საშუალო სკოლაში მე-6 და მე-7 კლასები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჭადრაკში.

117-ე სკოლის ბაზაზე 124-ე და 117-ე სკოლის მოსწავლეები კალათბურთში ასპარეზობდნენ.

ასე რომ, საქარხნო რაიონში, დედაქალაქის სხვა რაიონებთან შედარებით, უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს მოსწავლეთათვის განკუთვნილი მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

ხუთშაბათს თბილისის პირველი საშუალო სკოლის სპორტდარბაზში 12 საათზე მოსწავლეთა შეჯიბრება უნდა დაწყებულიყო, მაგრამ იქ მისულთ სარბიელი ცარიელი დაგვხვდა. უფრო სწორად დარბაზში მხოლოდ ფიზკულტურის მასწავლებელი იყო. ისიც და ჩვენც ამაოდ ველოდით მოსწავლეთა გამოჩენას.

ზოგჯერ ასეც ხდება: მივაკითხავთ სკოლაში და როცა ღონისძიება არ ტარდება, გვეუბნებიან, გრაფიკს გადავუხვიეთ, დროზე ადრე დავიწყეთო...

მაგალითად, თბილისის მე-3 საშუალო სკოლაში 11-ის ნახევარზე რომ უნდა დაწყებულიყო, ფრენბურთელთა შეჯიბრება ამ დროისათვის უკვე დამთავრებული დაგვხვდა. თუმცა, ფიზკულტურის დარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია და მიზეზად ეს რომ მოეტანათ, უფრო დავიჯერებდით.

იქნებ დროულად გავითვალისწინოთ სკოლების პირობები და იმის მიხედვით დავგეგმოთ ღონისძიებები?

ზოგიერთი სკოლა გვერდს უვლის ღონისძიებების ჩატარებას, ზოგი კი, სურვილისდა მიუხედავად, ვერ ახორციელებს მათ.

150-ე და 126-ე საშუალო სკოლებში ნორმალური სიტუაცია დაგვხვდა. გრაფიკით გათვალისწინებული შეჯიბრებები ჩატარებულია 2 და 3 იანვარს. შემდეგ დღეებში კი, ხან ამინდს შეუშლია ხელი, ხან კიდევ ბავშვების გამოუცხადებლობას.

150-ე საშუალო სკოლაში მასწავლისას შიდასასკოლო შეჯიბრება მიმდინარეობდა კალათბურთში, ბავშვებისა და გულშემატკივართა შეძახილები ისმოდა ირგვლივ. შეჯიბრების შემდეგ ბავშვებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ასეთი ღონისძიებები რაც შეიძლება ხშირად უნდა იმართებოდეს, რათა არ მოდუნდეს მათი ინტერესი სპორტისადმი.

მერი დიღმელაშვილი,
გიული ჯოხაძე.

ჩემპიონატი განახლდა

ხანმოკლე შესვენების შემდეგ განახლდა კალათბურთელ ვაჟთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატი.

დონეცკი. ადგილობრივმა „შახტიორმა“ რიგის ვეფ-ს უმასპინძლა და ორივე შეხვედრა მოუგო — 100:75 (50:35) და 94:82 (48:39). ამ ორი გამარჯვებით „შახტიორმა“ ერთგვარად გამოიკეთა თავისი სატურნირო მდგომარეობა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 იანვრისთვის

„დინამო“ (მოსკოვი)	18	10	8	1803-1745	28
ასკ (ალმა-ათა)	16	11	5	1541-1489	27
ცსკა	12	12	0	1220-957	*24
„კალევი“ (ტალინი)	14	7	7	1221-1190	21
„შახტიორი“ (დონეცკი)	16	5	11	1257-1361	21
„სპარტაკი“ (ლენინგრ.)	16	5	11	1298-1418	21
„სტატიბა“ (ვილნიუსი)	14	6	8	1287-1288	20
ვეფ (რიგა)	18	2	16	1532-1832	20
„სტროიტელი“ (კიევი)	10	9	1	996-894	19
„დინამო“ (თბილისი)	14	5	9	1216-1280	19
რტი (მინსკი)	12	5	7	1007-1044	17
„უალგირისი“ (კაუნასი)	8	7	1	800-731	15

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩებს აბოვიანის „ადისი“ სომხეთის სპორტსახკომის თხოვნით თბილისში, ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) ჩაატარებს. 11 და 12 იანვარს იგი ალმა-ათის „უნივერსიტეტს“ შეხვდება, 15 და 16 იანვარს კი კიევის „დინამოს“. დუბლიორთა შეხვედრები დაიწყება 18 საათზე, ძირითადი შემადგენლობისა კი 20 საათზე.

ამ მატჩების მთელი შემოსავალი სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებული მოსახლეობის დახმარების ფონდში ჩაირიცხება.

კიევის დინამოელები პროფესიონალები გახდნენ

3 იანვარს კიევში გაიმართა ახლად შექმნილი პროფესიონალური საფეხბურთო კლუბის, კიევის „დინამოს“ შრომითი კოლექტივის პირველი საორგანიზაციო კრება, რომელიც ჩამოყალიბდა ამ სპორტული საზოგადოების საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის ადრე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

— ჩვენი საფეხბურთო კლუბი სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელიც მთლიანად სამეურნეო ანგარიშზეა დამყარებული. სწორედ ეს პრინციპული განსხვავებაა ჩვენსა და „დნეპრს“ შორის, — თქვა 35 წლის ვ. ბეზვერხომ, რომელიც ღია კენჭისყრით აირჩიეს კლუბის პრეზიდენტად. ადრე იგი ახალგაზრდულ სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „პროგრესს“ ხელმძღვანელობდა. — ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობების ფეხბურთელებისთვის, მწვრთნელებისთვის, საშტატო თანამშრომლებისთვის ხელფასის გაცემის გარდა, კლუბი ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მუშაობა, რომლის აღზრდილებიც, სხვათა შორის, ოლეგ ბლოხინი და ალექსეი მიხაილიჩენკო არიან, იზრუნოს საწვრთნელი ბაზის განვითარებაზე. უზრუნველყოს მედიკოსებისა და მეცნიერების, ტრანსპორტისა და სასადილოს მუშაობა, წარმართოს და გადაწყვიტოს რიგი მიმდინარე საკითხებისა. კლუბის დაფინანსების წყაროა ბილეთების გაყიდვა. კიევის „დინამოს“ „მეგობართა კლუბის“ წევრთა საწევრო გადასახადები, რეკლამა, ლატარია, სპონსორების დახმარება.

კიევის „დინამოს“ პროფესიონალური საფეხბურთო კლუბის მთავარ მწვრთნელად ერთხმად არჩეულია ვ. ლობანოვსკი, რომელმაც ფეხბურთელთა წინაშე გამოსვლისას თქვა:

— დღეს საბჭოთა ფეხბურთში ისტორიული დღეა. იწყება ახალი ცხოვრება და ყოველმა მოთამაშემ უნდა გარდაქმნას თავისი აზროვნება. მე თქვენი იმედი მაქვს, რამეთუ საქმისადმი თქვენი დამოკიდებულება განსაზღვრავს არა მარტო თქვენივე კეთილდღეობას, არამედ, საერთოდ, სამამულო ფეხბურთის მომავალსაც.

ნ. ბაკალანოვი,
„იზვესტია“, 5 იანვარი, 1989 წ.



ფლეტჩერი - ჟკიტსკელი

ვარშავა. პოლონეთის დედაქალაქის განთავისუფლების 44-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კალათბურთელთა ტურნირში სხვა კოლექტივებთან ერთად მონაწილეობენ მოსკოვის „დინამო“ და პირველი ლიგის ქლუბი „ატლეტასი“ (კაუნასი). დინამოელებმა უკვე ორი შეხვედრა ჩაატარეს. პირველში პოლონეთის ახალგაზრდულ გუნდს აჯობეს — 113:87, მეორე კი ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებთან დათმეს — 76:95. „ატლეტასი“ დამარცხდა პოლონეთის ნაკრებთან — 71:72.

დორტმუნდი. მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში, რომელიც მარტის მიწურულს დაიწყება დასავლეთგერმანიის ამ ქალაქში, გამოვლენ 80-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენები. ფავორიტთაგან ჯერჯერობით განაცხადი არ გამოუგზავნია კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონატში (გოტენბორგი) მონაწილეობდა 68 ქვეყანა.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მსმენელებთან „ლელოს“ კონტაქტები ღრმავდება. დღეს გთავაზობთ სტუდენტთა გვერდის მეორე გამოშვებას.

ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული ქეთევან ძვანია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ბაბა-ბალში მუშაობს ფიზკულტურის მეთოდისტად.

იხ. მე-2 გვ.

ჩაუქი № 1(2)



სტუდენტური გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებთან მუშაობა სერიოზული საქმეა

შარშან ფიზკულტურის ინსტიტუტში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ჯუმბერ პატიაშვილთან შეხვედრის დროს ამავე ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ქეთევან უვანიამ სკოლამდელ დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის პრობლემებზე ილაპარაკა. ქეთევანი თბილისის საავიაციო ქარხნის საუწყებო ბაგა-ბაღში მუშაობს აღმზრდელად. გადავწყვიტეთ ადრე დაწყებულ საუბარს კვლავ დავბრუნებოდით. ახალგაზრდა სპეციალისტი დღეს ჩვენს მკითხველებს ვრცლად მოუთხრობს თავისი საქმიანობის შესახებ.

— ინსტიტუტი 1987 წელს დავამთავრე — სკოლამდელი დაწესებულებების ფიზკულტურის მეთოდისტის სპეციალობით. კურსზე 15 ქალიშვილი ვიყავით. ეს იყო პირველი გამოშვება (და უკანასკნელიც), მაგრამ ბაგა-ბაღებში ჯერჯერობით ჩვენი სპეციალობით მხოლოდ ოთხნი ვმუშაობთ. უმეტესობამ სამსახური ვერ იშოვა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საქმე არასპეციალისტებს აქვთ ჩაბარებული, რატომღაც ფიქრობენ, რომ ფიზკულტურა ძალიან ადვილი საგანია და ვინც მოისურვებს, ყველას შეუძლია მოჰკიდოს ხელი. არადა, ნამდვილად არ არის ასე. ბავშვს ადრეულ ასაკშივე თუ არ ჩაუნერგე ფიზიკური კულტურის ჩვევები, შემდეგ ეს ძალიან ძნელია.

ახლა კი იმის შესახებ მინდა გიამბოთ, რა დაბრკოლებები გვხვდება ჩვენს საქმეში. ყველაზე დიდი პრობლემა სავარჯიშო ინვენტარისა და სპორტული ფორმების დეფიციტია. თბილისის სპეციალურ სათავო საკონსტრუქტორო ბიუროში გვითხრეს, რომ მზად არიან შექმნან კოოპერატივი, სადაც საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის შესაბამის ინვენტარს დაამზადებენ. ახლა მთავარია გამოჩნდეს რამდენიმე შემკვეთი ბაგა-ბაღი. კარგი იქნება, თუ ჩვენი ფაბრიკები მეტს იფიქრებენ სპორტული ფორმების საჭირო რაოდენობის გამოშვებაზე. მოზარდი თაობის კეთილდღეობა ხომ ყველასთვის გადაუდებელი ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ჩვენს ბაგა-ბაღზეც ვიტყვი. შენობა ახალია, 1987 წელს აშენდა. მშვენიერი დარბაზიც გვაქვს. ეს არის, რომ არც ერთი ფანჯარა არ იღება. როგორც ჩანს, მშენებლებმა განსაკუთრებით იზრუნეს იმაზე, ბავშვები არ დაციოდნენ, მაგრამ სუფთა ჰაერიც რომ საჭიროა, ეს დაავიწყდათ. დარბაზის ქვეშ მოთავსებულია საცურაო აუზი. მშენებლებმა საქმე გააკეთეს: კვლავ „ტრადიციულად“ აუზში ჩასხმული წყალი ისე უგზოუკვლოდ გაიპარა, რომ ცურვის შესწავლა კი არა, ჩასვლა და დასველებაც ვერავინ მოასწრო. ამჯერად აუზს არემონტებენ. კიდევ აი, რა გვაკვირვებს: აუზსა და ჩვენს დარბაზს საერთო ფანჯრები აქვს. ფანჯარასა და დარბაზის იატაკს შორის იმოდენა ღრიჭო დაუტოვებიათ, სრულიად დაუბრკოლებლად ამოვა ორთქლი, დარბაზს გამწოვი აქვს, მაგრამ ისე პატარაა, დახმარებას ვერ გაგიწევს. ნუთუ არ შეიძლებოდა ამის თავიდანვე გათვალისწინება?

არ მინდა საუბარი მინორული ტონით დავამთავრო და ამიტომ კვლავ ბავშვებზე გეტყვით. თითქმის ყოველ კვირას ისინი მშობლების ნებართვით ლისის ტბაზე, პოტანიკურ ბაღში და ვაკის პარკში დამყავს, ვასწავლი სპორტულ ორიენტირებას — ამ სახეობაში პირველი თანრიგი მაქვს. ბავშვებმა საკმაოდ იოლად აითვისეს რუკის კითხვა, კომპასით სარგებლობა. რამდენჯერმე საკონტროლო პუნქტებიც დავუდგი და ისინიც იპოვეს. ჩემთვის ეს ყველაზე დიდი სიხარული იყო. პატარებთან მუშაობას დიდი დრო და მონდომება სჭირდება. თუ საქმეს სერიოზულად, ცოდნით შეიუდგებით, ბავშვებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავიდანვე ბევრ სასარგებლო ჩვევას გამოვუმუშავებთ.

„გაშლილ-აყვავებული გვენახე“

9 დეკემბერს დილას რიყის მოედნიდან 550 მოხალისე ქართველი სტუდენტი გაემგზავრა სომხეთისაკენ სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად.

იმ სტუდენტთა შორის, რომლებმაც დახმარებისა და თანადგომის ხელი გაუწოდეს მომძე სომეხ ხალხს, ვიყავით ჩვენც, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები — სულ 33 კაცი.

9-ში, საღამოს 6 საათზე ჩავედით სპიტაკის რაიონში და სოფელ ღოღაჩენში გავათიეთ ღამე. ზოგს კოცონთან ეძინა მიწაზე, ზოგს თივაზე, ზოგიც ავტობუსში მოკალათებულიყო.

დილაუთენია დავბრუნდით სპიტაკში და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ჩავებით მაშველ სამუშაოებში. ინსტიტუტებმა რაზმები ორად დაყვეს. ნაწილი სამაშველო სამუშაოებზე გაიგზავნა, ნაწილი თბილისიდან გამოგზავნილი კარვების გასაშლელად და სურსათსანოვაგის მანქანებიდან გადმოცლადასაბინავებლად.

მე მაშველთა ჯგუფში მოვხვდი. ხუთსართულიანი, რვასადარბაზოიანი კორპუსის ერთ-ერთი სადარბაზო უნდა გაგვეწმინდა. მეხუთე სართული პირველი სართულის სიმაღლეზე იყო დასული. ჭერი და იატაკი ერთმანეთს მიჰკვროდა... საქმეს შეეფუდექით.

სინკარი, ქვებისა და ბეტონების უსაშველო გროვა, საწოლი, ჯარადა, ლოგინი, ათასი საოჯახო ხელთი და...

იქნებ ცოცხალი იყოს?!

ამაოდ!

ერთმანეთში ჩახერგილი ნივთები... დეფორმირებული, უსახო სხეულები... ორი... ხუთი... ათი...

ისევ სინკარი...

ამ დროს გაისმა მოკლე შეძახილი.

ყველა გაისუსა.

ხმა განმეორდა.

ეჭვი გაიფანტა, ადამიანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. საჭირო გახდა სასწრაფო მოქმედება.

ნახევარი საათი გავიდა. შემდეგ ყველა ერთმანეთს ვულოცავდით შუახნის ქალის გადარჩენას.

მალე ნანგრევებიდან 4 წლის გოგონამ შემოგვანათა ტირილისაგან დაოსებული თვალები.

იმ დღეს კიდევ 3 ცოცხალი ადამიანი ამოვიყვანეთ ნანგრევებიდან. მხოლოდ ერთხელ მოვწყდით სამუშაოს და ყველანი მეზობელი კორპუსისაკენ გავიცქვდით, სადაც სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა 3 თვის ბიჭუნა გამოგლეჯეს ნანგრევებს.

ამასობაში ეს მოკლე დღეც მიილია. სიბნელეში მუშაობა გაძნელდა.

მეორე დღეს, დილით გამოგვიცხადეს, ნანგრევების გასაწმენდად უცხოეთის ქვეყნებიდან სპეცჯგუფები და სამხედრო ნაწილები წავლენო, სტუდენტები კი კარვების გასაშლელად კიროვაკანში გაგვაგზავნეს.

თურმე რამდენი ყოფილა გასაკეთებელი. რამდენიმე წუთში კიროვაკანში ვიყავით და საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ეზოებში ვშლიდით კარვებს უსახლკაროდ დარჩენილთათვის. მომდევნო დღეებიც ამ საქმეს მივანდომეთ. ვცდილობდით არც აქ შეგვერცხვინა თავი.

ჩვენი მისია სომხეთის მიწაზე 15 დეკემბერს დამთავრდა. ჩვენ სხვა ინსტიტუტის ჯგუფებმა შეგვცვალეს.

მშვიდობით ჰაიასტან, ორი წლის შემდეგ „გაშლილ-აყვავებული გვენახე“.

ლ. ჯავახიშვილი,
საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების პირველი კურსის სტუდენტი.

სპიტაკი—თბილისი.

ინტერვიუ ინსტიტუტის დერეფანში

იმ დღეს, სეულის ოლიმპიადაში მონაწილეობის შემდეგ, ჩვენი სახელოვანი ოლიმპიელი ნინო სალუქვაძე პირველად მოვიდა მშობლიურ ფიზკულტურის ინსტიტუტში.

ნინო უმალ მოექცა სტუდენტების, უფრო სწორად კი, სტუდენტი გოგონების ალყაში.

კითხვა კითხვას მოსდევდა და ლექციის დაწყებამდე დერეფნის ერთი კუთხე თავისებურ პრესკონფერენციის აუდიტორიად იქცა.

— ნინო, ნუ გეშინია, ჩვენ შენთან ვართ! — გავიგონე შეძახილი.

უცხო ადამიანს ეს გაურკვეველი დაპირება გააკვირვებდა, მაგრამ უმალ მიეხვდი რაშიც იყო საქმე: სეულში რომ გავემგზავრა, ნინოს უამრავ სპორტულ ტიტულებთან ერთად მინიჭებული ჰქონდა ერთი „სტუდენტური წოდებაც“: ლენინური სტიპენდიანტობა საუკეთესო სწავლისთვის. ერთმა თანაკურსელმა ნინოს საკუთარი კონსპექტები შესთავაზა, მეორემ — ბიბლიოთეკიდან გამოტანილი სახელმძღვანელოს ერთადერთი ეგზემპლარი, მესამემ — ჩემთან ერთად მოამზადე სემინარებიო...

◎ ნინო, ცამეტი საათი რამ გაგაძლებინა თვითმფრინავში?

— კითხვამ! თქვენ მაინც იცით, წიგნების კითხვა მიყვარს. თქვენს მიერ შემოთავაზებულ დახმარებასაც მაქსიმალურად გამოვიყენებ, აბა, ლენინურ სტიპენდიას ხომ არ დავკარგავ?

◎ ნინო, სეულში ხომ არავის მოეწონე? ბიჭებში თუ შეიარე? — იხმოდა კითხვები...

◎ ავტოგრაფების მოყვარულები თუ გაწუხებდნენ?

— არ დაიჯერებთ, ჩემი გამარჯვების დღეს ერთი საათის განმავლობაში ათასზე მეტი ავტოგრაფი მივეცი ჩემს ქომაგებს.

ზარი დაირეკა. გოგონები აუდიტორიისაკენ გაეშურნენ.

იწყებოდა ოლიმპიური ჩემპიონის სტუდენტური დღე!

ჩაიწერა მირანდა ქირიას,

გარდაქმნა—სიტყვა და საქმე

ჩვენ, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პირველკურსელებს, ლექცია-სემინარებზე ძალზე ხშირად გვესმის სიტყვა „გარდაქმნა“, მაგრამ, როგორ უნდა განხორციელდეს იგი ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში, ამაზე ძალზე ცოტას გვესაუბრებიან. ამასთან, ყველა ჩვენგანი სპორტულ სამყაროს კარგად იცნობს და ვხედავთ, რომ არც პრაქტიკულ საქმიანობაში შეიმჩნევა რაიმე არსებითი ცვლილებები.

სტუდენტებს ხშირად გვიწევს გარდაქმნაზე კამათი, აზრთა გაზიარება, და ვიცით რას ფიქრობს თითოეული ჩვენგანი ამ საკითხზე.

1. ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინსვლა, რომელსაც გარდაქმნის ამჟამინდელი ამოცანები ითვალისწინებს, შეუძლებელია სრული დატვირთვით გამოყენების და ახალი ბაზების ქსელის შექმნის გარეშე.

უსაფუძვლო ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, მოვიშველიებთ ფაქტებს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ცხოვრებიდან.

საკითხავია, როგორ გარდაქმნას საქმიანობა ინსტიტუტის ტურიზმისა და სათხილამურო სპორტის კათედრამ, რომლის მთავარი და ძირითადი სამუშაო დაბა ბაკურიანის ტერიტორიაზე სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარებით ხორციელდება, თუ ამ მუშაობის სრულყოფილად ჩასატარებლად ელემენტარული პირობებიც კი არ არსებობს? ძველი ბაზა დაანგრიეს, ახლის მშენებლობას კი ათი წელია საშველი არ დაადგა.

2. როგორც ცნობილია, გარდაქმნის ერთ-ერთ ძირითად ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს წარმოება-დაწესებულებების თვითდაფინანსებაზე გადასვლა. ეს საერთო მოვლენა, ცხადია, სპორტულ მოძრაობაზეც ვრცელდება, მაგრამ, საკითხავია, შესაძლებელია თუ არა სპორტულ ცხოვრებაში მექანიკურად გადავიტანოთ ის, რაც დასაშვებია, ვთქვათ, მსუბუქ მრეწველობაში, ტრანსპორტზე და ა. შ.? ამ შემთხვევაში კაპიტალისტური სპორტის მოდელის ბრმად მიბაძვა ხომ არ გამოგვივა? უცხოეთისაგან განსხვავებით, ჩვენს ქვეყანაში თვითდაფინანსებაზე გადასული სპორტული კოლექტივების ძირითადი შემოსავალი არის და იქნება გაყიდული ბილეთების თანხა, პლუს — ლატარიის გათამაშება და ზოგი სხვა ღონისძიება. ახლა ვიკითხოთ: ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლებს ესწრება ისეთი აუდიტორია, რომელიც უზრუნველყოფს ამ სპორტული კოლექტივების ფინანსური პრობლემების გადაჭრას? ყველა დაგვეთანხმება, რომ ასეთი სახეობა ჯერჯერობით მხოლოდ ფეხბურთია. ცხადია, საკმაო მაყურებელი ჰყავს კალათბურთს, ჭიდაობას, ჩოგბურთს, მაგრამ, ერთი რომ, მათი რიცხვი ძალზე მცირეა, მეორეც, შეჯიბრებები ამ სახეობებში პერიოდულია, არ ტარდება თანაბარზომიერი ინტერვალით ისე, როგორც ფეხბურთში, ასე რომ, მაყურებელთა ასეთი რაოდენობა ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს გუნდის ფინანსურ მოთხოვნებს. ჩვენს რესპუბლიკაში მძლეოსანთა, ტანმოვარჯიშეთა, მოფარიკავეთა და ძალოსანთა შეჯიბრებებზე ბევრნი არ იკრიბებიან (ეს მაშინ, როცა აქ დასწრება უბილეთოდაა) და თუ ამ შეჯიბრებებზე ბილეთებს გავყიდით, ალბათ, იმ ერთ-ორ დამსწრესაც დავკარგავთ.

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, თვითდაფინანსება, ალბათ, გაამართლებს გამჯანსაღებელ ჯგუფებში, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სავარჯიშო ბაზა სანიმუშოდ იქნება მოწყობილი.

3. ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას კარგი მატერიალური ბაზა რომ შევუქმნათ და სამეურნეო ანგარიშზე გადასული სპორტული კოლექტივებიც მოვამრავლოთ, გარდაქმნის მოთხოვნათა დონემდე მაინც ვერ ავმაღლდებით, თუ მასებში არ ამაღლდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლისა და მნიშვნელობის შეგნება.

ჩვენი აზრით, აუცილებელია მშობელთა და პედაგოგთა ფიზკულტურული განათლების სახალხო უნივერსიტეტების შექმნა.

ირმა მერაბიშვილი,
თამარ კაკაურიძე,
ირინე ელენტი.
სტუდენტები.

მეცადინეობა ტანვარჯიშის კათედრაზე.

მართლაც გვიანღაა თითზე კბენანი

რაიონულ გაზეთ „ყვარელში“ გამოქვეყნებული ერთი წერილის გამო

ყვარელი

ამ წერილს, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, რაიონული გაზეთის წინასაახალწლო ნომრის თითქმის მთელი ერთი გვერდი ეთმობა: წერილის ავტორია რაიონის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლაფაჩიშვილი.

არაერთხელ დაგვიწერია, რომ რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჩამკვდარია და მთელი გულისყური მხოლოდ ფეხბურთის კენაა მიპყრობილი. ფეხბურთისადმი უურადღება, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, მაგრამ ცუდია ის, რომ სხვა უველაფერი მივიწყებულია და, როცა წლის მონაგრის შეჯამების დრო დგება, ისევ და ისევ ფეხბურთი გამოდის წინა პლანზე. თუ შედეგები ხელშესახებია, ქების სიტყვებს არ იშურებენ, თუ არა, ათას მიზეზს ეძებენ — წარუმატებლობას გამართლება ხომ უნდა!

ზემოხსენებულ წერილშიც ძირითადად ეს მოჩანს. ყვარლის „დურუჯმა“ 1988 წლის სეზონში ძლივს დაადწია თავი საქართველოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფის დატოვების საფრთხეს. გუნდი ცუდად არ თამაშობდა, მაგრამ მას სამ მატჩში დამარცხება ჩაეთვალა და დაკარგულმა 6 ქულამ გადაისროლა მე-18 ადგილზე.

რა მოხდა? მოხდა ის, რომ ხობის „კოლხეთთან“ შეხვედრისას მსაჯმა ხეჩოიანმა უვითელი ბარათი უჩვენა ყვარლელ გ. სანადირაძეს, ოქმში კი მის თანაგუნდელს ს. მილიხინს ჩაუწერა გაფრთხილება. „დურუჯმა“ შინ ეს მატჩი მოიგო, შემდეგ კიდევ ორი შეხვედრაც თავის სახარგებლოდ დაამთავრა. იმის გამო, რომ სანადირაძემ ამ მატჩებში მონაწილეობა მიიღო, გუნდს სამი წაგება ჩაუთვალეს. აი, ამ „დეტექტივზეა“ აგებული ლაფაჩიშვილის წერილი. ავტორი უყვარლელ გულშემატკივრებს ეუბნება, ხომ ხედავთ, რა უმსგავსობები ხდება ქართულ ფეხბურთში, უველაფერი ეს წინასწარ ჩაფიქრებული ფანდი იყოო.

ამ საკითხზე არაერთხელ იმსჯელა სპორტტექნიკურმა კომისიამ. ხეჩოიანს აეკრძალა მსაჯობა, დაისაჯა „დურუჯის“ მეორე მწვრთნელიც, რომელმაც სპორტტექნიკური კომისიის ერთ-ერთ ხხდომაზე განაცხადა, „დურუჯის“ შემადგენლობაში „კოლხეთთან“ მატჩში №10 ფეხბურთელ ჭორთიევის ნაცვლად სხვა მოთამაშე გამოვიდა მოედანზეო. ცხადია, მსაჯმა ხეჩოიანმა მიუტევებელი თვითნებობა დაუშვა, მაგრამ რა უბიძგებდა გუნდის მეორე მწვრთნელს ხიყალბისაკენ? არსებობს იმ მატჩის ვიდეოჩანაწერი და უველაფერი ნათელია. ჩანს, ვიღაც მართლაც იყო დაინტერესებული „წყლის ამღვრევით“, მაგრამ ლაფაჩიშვილი უველაფერ ამას, როგორც ზემოთ ვთქვით, მხოლოდ ცალმხრივად განიხილავს, არც მსაჯის დასჯაზე ეუბნება რამეს მკითხველს. ავტორი გულშემატკივრებს აშკარად განაწყობს ფეხბურთის სამმართველოს, ფედერაციის, სპორტ-ტექნიკური კომისიისა და საქართველოს ტელევიზიის კომენტატორის წინააღმდეგ, რომელმაც „კოლხეთთან“ მატჩი ვიდეოფირზე გადაიღო.

ერთგან ლაფაჩიშვილი წერს: „მოლაპარაკებულ, შეთანხმებული თამაშები პირდაპირ ნორმად იქცა. ასეთი თამაშების რაოდენობით, დარწმუნებული ვარ, საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზე იქნება კავშირში, მერედა, ვის რაში სჭირდება ეს. რა სარგებლობას მოუტანს ქართულ ფეხბურთს, დავუშვათ, ისეთი ჩემპიონი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ქულებს თხოულობს?“

მოდით, ახლა ნუ გავხდით ამ სტრიქონებს ხადავოდ. ჯერ ის ვნახოთ, „კოლხეთთან“ მატჩის წინ შექმნილ სიტუაციას როგორ აღწერს წერილის ავტორი: „ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე აფრინეს „ემისრები“ ყვარელში „საქმის ჩასაწყობად“, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს“. უფრო ზემოთ: „არის აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა. უმრავლესობამ არც კი იცის ამ უპრეცედენტო ფაქტის ყველა ნიუანსი“. ხედავთ? ლაფაჩიშვილმა თავი გამოიდო, მკითხველი კი „ნიუანსებში“ ისე გაარკვია, როგორც თავად სურდა.

ლაფაჩიშვილი ქართული ფეხბურთის ინტერესებისათვის მებრძოლ კაცად წარმოგვიდგება, მაგრამ ეს ერთი შეხედვით.

აქვე გვინდა ვკითხოთ ყვარლის რაიონის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს: თუკი იცოდით იმ „ემისრების“ შესახებ, რატომ მაშინვე არ ატეხეთ განგაში და არ აცნობეთ ამის თაობაზე, სადაც ჯერ არს? მით უმეტეს, ერთგან წერთ: „...დაუხჯელობის ატმოსფეროში ერთობ თავისუფლად სუნთქავენ ბნელი ძალები, რომლებიც აფერხებენ საერთოდ ქართული ფეხბურთის განვითარებას“.

ლაფაჩიშვილს თუ მართლა შესტკივა გული ქართულ ფეხბურთზე, მისი სიწმინდისათვის რატომ ხაკუთარი რაიონიდან არ იწყებს ბრძოლას, ეს ხომ თანამდებობრივადაც ევალება? რატომ ვეუბნებით ყვარლელ გულშემატკივრებს, დაგვჩაგრესო, როცა იმ გულშემატკივრებმაც და პირადად ლაფაჩიშვილმაც კარგად იცოდნენ, რომ მსაჯმა ხანადირაძე გაფრთხილა? რატომ არ დაეჭვდნენ ისინი, როცა შომდევნო შეხვედრებში ხანადირაძე სასიამოვნოდ გამოვიდა მოედანზე? აი, ეს იქნებოდა ობიექტურობა და მაშინ დროულად და შედარებით ადვილად გაირკვეოდა უველაფერი. გამოდის, რომ ყვარლელებს კუთხურობა ამოძრავებდათ და არა ქართული ფეხბურთის ინტერესები. წერილის ავტორის პოზიცია კი აქაც აშკარად ჩანს — მაშინ ისიც ხომ დუმდა. მკითხველმა თავად განსაჯოს, ვის მხარეზეა ყვარლის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე და ეწინააღმდეგება თუ არა იგი წერილში გამოთქმულ თავისავე აზრებს. არც იმის წარმოდგენა ძნელი, თუ როგორ მუშაობს რაიონის ფეხბურთის ფედერაცია.

რაც შეეხება ქართულ ფეხბურთს, მისი სიწმინდისათვის, ცხადია, უველამ ერთნაირად უნდა ვიბრძოლოთ, ოღონდ ობიექტურად, ეროვნული ინტერესების ფარგლებში.

„ლელა“-ი ოთხასელი

„ვერდერი“ 1988 წელს

როგორც ცნობილია, 10 იანვარს თბილისში გაიმართება საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი ხომხეთში მიწისძრისგან დაზარალებულების დასახმარებლად. მატჩის მოწყობის ინიციატივა თბილისელთათვის კარგად ნაცნობ კლუბს, გფრ-ს ახლანდელ ჩემპიონ „ვერდერს“ ეკუთვნის, რომელმაც მოისურვა „დინამოსთან“ შეხვედრა.

ჩვენ ადრეც გვქონდა შემთხვევა მკითხველებთან გვესაუბრა „ვერდერის“ შესახებ. ახლა მისი ზოგიერთი ძირითადი წარმატების გახსენებასთან ერთად ვილაპარაკებთ გუნდის შედეგებზე გასული, 1988 წლის სეზონში.

ბრემენის „ვერდერი“ დაარსებულია 1899 წლის 1 თებერვალს. თამაშობს „ვეზერშტადიონზე“, რომელიც 40 ათას მაყურებელს იტევს. ფეხბურთელებს აცვიათ თეთრი მაისურები და მწვანე ტრუსები. გუნდს კვლავინდებურად ოტო რეჰაგელი წვრთნის, რომელიც გფრ-ს ფეხბურთში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

„ვერდერი“ გფრ-ის ორგზის (1965 და 1988 წლების) ჩემპიონია. 1961 წელს გფრ-ს თასს დაეუფლა, 1988 წელს გფრ-ს სუპერთასის მფლობელი გახდა. ამ შეჯიბრებაში ერთმანეთს ხვდებიან ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი: „ვერდერმა“ ანგარიშით 2:0 მოუგო გფრ-ს თასის მფლობელ „აინტრაჰტს“ (მაინის ფრანკფურტი).

აქამდე ბრემენელებს სულ რვაჯერ ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა ევროპის თასებში. 1965-66 წლებში ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მათ ორჯერ თანაბარი ანგარიშით 5:0 სძლიეს ნიქოზიის „აპოელს“, შემდეგ კი დამარცხდნენ ბელგრადის „პარტიზანთან“ — 0:3, 1:0.

თასების მფლობელთა თასზე „ვერდერმა“ ასევე ერთხელ ითამაშა: 1961-62 წლების გათამაშებაში სძლია „აარჰუსს“ — 2:0, 3:2, შემდეგ კი დამარცხდა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ — 1:1, 1:3.

ძირითადი ასპარეზი ევროპულ ტურნირებში „ვერდერისათვის“ უეფა-ს თასი იყო. 1982-83 წლების გათამაშებაში მან მოუგო ოდერის ფრანკფურტის „ფორვერტს“ — 3:1, 0:2, „ბრაგეს“ — 2:0, 6:2, შემდეგ კი დამარცხდა „დანდი იუნაიტედთან“ — 1:2, 1:1, 1983-84 წლების გათამაშებაში დაამარცხა „მალმიო“ — 1:1, 2:1, შემდეგ კი წააგო ლაიფციგის „ლოკომოტივთან“ — 0:1, 1:1. 1984-85 წლების ასპარეზობაში წააგო „ანდერლეჰტთან“ — 0:1, 2:1, 1985-86 წლების ტურნირში დამარცხდა ოდესის „ჩერნომორეცთან“ — 1:2, 3:2, 1986-87 წლების გათამაშებაში — მადრიდის „ატლეტიკოსთან“ — 0:2, 2:1 (დამატებით დროში). ყველაზე კარგად ითამაშა უეფა-ს 1987-88 წლების ტურნირში, სადაც თანმიმდევრულად სძლია „მიენდალენს“ — 5:0, 0:1, მოსკოვის „სპარტაკს“ — 1:4, 6:2 (დამატებით დროში), თბილისის „დინამოს“ — 2:1, 1:1. ვერონის „ელასს“ — 1:0, 1:1. ამრიგად, გუნდმა მიაღწია თასის ნახევარფინალამდე, სადაც დამარცხდა ლევერკუზენის „ბაიერთან“ — 0:1, 0:0.

ახლა, როგორც გფრ-ის ჩემპიონი, „ვერდერი“ მონაწილეობს ჩემპიონთა თასის გათამაშებაში და ჯერჯერობით წარმატებას აღწევს.

პირველ წრეში ანუ მეთექვსმეტედფინალში „ვერდერი“ შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონს ბერლინის „დინამოს“. ბერლინში „ფრიდრიხ-ლუდვიგ-იან-შპორტპარკის“ სტადიონზე „ვერდერმა“ პირწმინდად წააგო — 0:3. „დიდი მადლობა ამ საღამოსათვის“ — ასე დაასათაურა თავისი მიმოხილვა ბერლინის „ფუ-ვოს“ კომენტატორმა იურგენ ნიოლდნერმა, მაგრამ ამავე დროს „ბრემენელი საოცრების“ მდგომარეობა სრულიადაც არ ჩათვალა უიმედოდ ცუდად და გაიხსენა, რომ 1987 წელს „ვერდერმა“ უეფა-ს თასის გათამაშება დაატოვებინა მოსკოვის „სპარტაკს“, თუმცა პირველი მატჩი ანგარიშით 1:4 ჰქონდა წაგებული. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სკრენის ყოფილმა მწვრთნელმა, ცნობილმა უნგრელმა სპეციალისტმა ჯარი შოოშმა, გასაგებია, მაინც იმედიანად შეაფასა სიტუაცია: „ვისაც ერთხელ შეუძლია ასე კარგად თამაში (ცხადია, იგულისხმება ბერლინის „დინამო“), სხვა დროსაც შეძლებს“.

სპასუხო მატჩში „ვეზერშტადიონზე“ „ბრემენელმა საოცრებამ“ მართლაც საოცარ შედეგს მიაღწია — მან „დინამო“ დაამარცხა ანგარიშით 5:0. გოლები გაიტანეს კუთცოპმა, ჰერმანმა, რიდლემ, ვეტერანმა ბურგსმიულერმა და შაფმა.

მერვეფინალში „ვერდერს“ მეტად ძლიერი მეტოქე ჰყავდა გლაზგოს „სელტიკის“ სახით, მაგრამ კვლავ დასძლია დაბრკოლება. ბრემენელებმა გლაზგოში, მასპინძელთა გაუთავებელი შეტევების მიუხედავად, მაინც შეძლეს მოგება — 1:0. გოლი გაიტანა ვოლტერმა. მატჩი ბრემენში ფრედ (0:0) დამთავრდა. ამრიგად, „ვერდერი“ მეოთხედფინალში გავიდა, სადაც უძლიერეს მეტოქეს „მილანს“ ხვდება.

ახლა ზოგი რამ „ვერდერის“ შედეგებზე გფრ-ის 1988-89 წლების ჩემპიონატში. ეს ასპარეზობა „ვერდერმა“ დაიწყო, როგორც ქვეყნის 25-ე ჩემპიონატში გამარჯვებულმა. საყურადღებოა, რომ ბრემენელებმა 6 ქულით ჩამოიტოვეს ისეთი ცნობილი კლუბები, როგორიც არიან „ბაიერნი“ (მიუნხენი) და „კიოლნი“, 34 მატჩიდან 52 ქულა მოაგროვეს, 22 მატჩი მოიგეს, 8 ფრედ დაასრულეს და მხოლოდ 4 წააგეს, ბურთების სხვაობით 61-22. მართლაც რომ ბრწყინვალე შედეგი!

მიმდინარე ჩემპიონატი „ვერდერმა“ კარგად დაიწყო. მესამე ტურში მან პრინციპული მატჩი მოუგო (3:1) ლევერკუზენის „ბაიერს“, 5 ქულა მოაგროვა და ერთ-ერთი ლიდერი გახდა. შემდეგში, ძირითადად წამყვანი მოთამაშეების დაშავების გამო, გუნდის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ასე მაგალითად, 8 ტურის შემდეგ ბრემენელები მხოლოდ მეცხრე ადგილზე იყვნენ, 10 ტურის შემდეგ — 8 ქულით — მეათეზე. მეთერთმეტე ტურის შემდეგ გუნდმა, შეიძლება ითქვას, დიდი ძალით დაიწყო თამაში. ზედიზედ რამდენიმე მოგების შემდეგ მან მკვეთრად გამოასწორა მდგომარეობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 12 ტურის შემდეგ იგი 15 ქულით უკვე მეშვიდე ადგილზე იყო, ხოლო 17 ტურის შემდეგ, როცა პირველი წრე დამთავრდა და ჩემპიონატზე საზამთრო შესვენება გამოცხადდა, გუნდი უკვე მეორე ადგილზე აღმოჩნდა. მას 23 ქულა აქვს, ბურთების სხვაობა 31-18. „ვერდერს“ მხოლოდ მიუნხენის „ბაიერნი“ უსწრებს, რომელსაც 23 ქულა აქვს (ბურთების სხვაობა 33-11). ერთი სიტყვით, პირველი წრის შემდეგ ლიდერი საშეუული ისეთივეა, როგორც შარშანდელი ჩემპიონატის ფინიშზე იყო. მესამე ადგილზე კვლავ „კიოლნია“, რომელსაც 22 ქულა აქვს (ბურთების სხვაობა 29-12). მეორე წრის წინ სატურნირო მდგომარეობა ფრიად მძაფრია.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ „ვერდერის“ ახლანდელი შემადგენლობის შესახებ.

კარს კვლავინდებურად იცავს საიმედოდ მოთამაშე რეკი. დაცვაში თამაშობენ კუთცოპი — ოტერი — ბრათსეტი — ზაუერი. მათგან უნდა გამოვყოთ ნორვეგიის ნაკრების ცენტრალური მცველი ბრათსეტი, მაღალი კლასის მოთამაშე, მცველი, რომელიც ხშირად შეტევაშიც კი ერთვება და ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში ორი გოლიც კი გაიტანა. შუა ხაზზე 4 ფეხბურთელი მოქმედებს: მაიერი (შაფი) — გფრ-ს ნაკრების მოთამაშე ბოროვკა — ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მოთამაშე ვოტავა — ჰერმანი (ვოლტერი). თავდასხმაში გამოდიან რიდლი, ვეტერანი ბურგსმიულერი და ნორვეგიის ნაკრების კიდევ ერთი წევრი სკოგჰაიმი.

ერთი სიტყვით, „ვერდერი“ მაღალი კლასის ოსტატებით არის დაკომპლექტებული და მიზნად ისახავს შარშანდელი მიღწევის გამეორებას — გფრ-ს ჩემპიონის წოდების შენარჩუნებას. ამ მიზანს ემსახურება საკონტროლო მატჩების სერიაც, რათა გუნდი უკეთ მომზადებული შეხვდეს ბუნდესლიგის მეორე, გადამწყვეტ წრეს.

ზვიკი თორელი.

ევროპის ჩემპიონატი

ჰოლანდიაში 5 იანვარს დაიწყო პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში, რომელიც დახურულ დარბაზში მიმდინარეობს. მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობს ევროპის, აზიის, აფრიკის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის 16 გუნდი, შეჯიბრება მიმდინარეობს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით და მის მიერ ოფიციალური დამტკიცებული წესებით.

ეს გათამაშება მიეძღვნა ჰოლანდიის სამეფო საფეხბურთო კავშირის 100 წლისთავს, მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან 4 ჯგუფად, პირველი წრის შეხვედრები ჯგუფებში გაიმართება წრიული სისტემით, 2-2 საუკეთესო გუნდი თითოეული ჯგუფიდან გავა გათამაშების მეორე წრეში, სადაც ნახევარფინალში გასასვლელად ჯვარედინი წესით ითამაშებს სხვა ჯგუფების გამარჯვებულებთან. ნახევარფინალური მატჩები გამოავლენენ ფინალისტებს, მთავარი მატჩი, რომელიც მინიფეხბურთში მსოფლიოს პირველ ჩემპიონს გამოავლენს, როტერდამში შედგება 15 იანვარს. იმავე დღეს გაიმართება მატჩი მესამე ადგილისთვის.

მინიფეხბურთის პირველ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობენ ალჟირის, არგენტინის, ავსტრიის, ბელგიის, ბრაზილიის, კანადის, დანიის, უნგრეთის, იტალიის, იაპონიის, ნიდერლანდების, პარაგვაის, საუდის არაბეთის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზიმბაბვეს გუნდები.

სოხუმელება ნარეკატგვით დაინქა

არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის დახურულ საფეხბურთო-მძლეოსნურ კომპლექსში (მოსკოვი) დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის, უკრაინის, თბილისისა და სოხუმის ფეხბურთელები. ტურნირი მიეძღვნა მოსკოვის არმიელთა სახელგანთქმული გუნდის კაპიტნის ალექსეი გრინინის ხსოვნას.

ტურნირის პირველ დღეს სოხუმის ნორჩმა დინამოელებმა 5 „შრალი“ ბურთი გაიტანეს ქ. სუმის ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტსკოლის გუნდის კარში, მაგრამ, პირიქით, ერთობ წარუმატებლად ითამაშა თბილისის „სპორტინტერნატ-35“-ის გუნდმა, რომელმაც კიეველებთან შეხვედრაში მარცხი განიცადა ანგარიშით 0:7.

მწვრთნელი თავს იმართლებს

ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბობი რობსონი კვლავინდებურად ჟურნალისტთა კრიტიკის ობიექტშია. მწვრთნელმა განაცხადა, რომ ინგლისელთა ნაკრების მარცხის მთავარი მიზეზია ხანგრძლივი შეკრებების სიმცირე, ფეხბურთელები ერთმანეთთან ვერ პოულობენ საერთო ენას. მწვრთნელს აზრით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ საჭიროა მოეწყოს ხანგრძლივი შეკრებები სხვადასხვა კლუბების საუკეთესო ფეხბურთელთა დასაახლოებლად.

მალტელთა ხოლიდაროობა

სსრ კავშირის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები (ასაკი 20 წლამდე), რომელიც 1989 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება, ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებს ატარებს უკეხოეთში. პირველი ამხანაგური თამაში ჩვენს გუნდს მალტაში ჰქონდა, სადაც ქ. ხამრუნის „სპარტანსს“ შეხვდა. მატჩი მოიგო საბჭოთა ნაკრებმა — 2:0.

შეხვედრის მსვლელობაში მაყურებელთა შორის მოეწყო შეწირულებათა შეგროვება სომხეთში მომხდარი მიწისძვრისგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

იუბილარის საპატივცემლოდ

მოსკოვის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელს იგორ ჩისლენკოს ამას წინათ 50 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით მეგობრებმა და გულშემატკივრებმა ი. ჩისლენკო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ დახურულ მანეაში მიიწვიეს, სადაც სასკოლო არდადეგების დღეებში მიმდინარეობს პოპულარული დინამოელი ფეხბურთელის სერგეი ილინის სახელობის პრიზის გათამაშება ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლების გუნდებს შორის.

ი. ჩისლენკოს გულთბილი სიტყვებით მიმართეს მისმა ძველმა პარტნიორებმა ლ. იაშინმა, ვ. ცარიოვმა, ვ. კესარევმა, ბ. კუზნეცოვმა, ი. მოზერმა და სხვებმა.

ცვლილებები — შაღლის დონეზე

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ (ფიდე) შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში, თავის შტაბ-ბინაში, გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგები 1989 წლის 1 იანვრისთვის. თუ ვაუთა სიაში „ყველაფერი წესრიგშია“ — საუკეთესო მაჩვენებელი კვლავ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს აქვს — ქალებთან „დიდი გადატრიალება მოხდა“. სიას სათავეში მოექცა 12 წლის უნგრელი იუდიტ პოლგარი, რომელიც რეიტინგების ბოლო გამოთვლისას, აგვისტოში მხოლოდ XIV-XVI ადგილებს იყოფდა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ჩვენთვის მთლად გასახარი არ უნდა იყოს, საქართველოს მოჭადრაკე ქალებმა ხომ ასე შეგვაჩვიეს პირველობას და უძლეველობას, მაგრამ, მეორეს მხრივ, არ შეიძლება გაოცება და სიმპათიები არ გამოხატო 12 წლის უნიჭიერესი გოგონასადმი, რომელმაც მთელი მსოფლიოს საჭადრაკო ცხოვრების შეძრა დააპირა. და არა მარტო იუდიტისადმი. მისი დაც, უფროსი, 18 წლის ჟუჟაც იქვე, მესამე საფეხურზეა...

აი, როგორც იქნა, გაუჩნდათ ჩვენს მოჭადრაკე ქალებს უაღრესად სერიოზული კონკურენტები. ვინ — ვის? ვიყოთ ობიექტურნი, ჩვენ მაინც ქართველი ქალების სიძლიერისა და ნიჭიერებისა გვწამს, გვჯერა, რომ ისინი კვლავაც პირველები იქნებიან და „ფიდე-ც „იძულებული გახდება გადასინჯოს“ თავისი სიები.

მაშ ასე: **ქალთა** პირველი ხუთეული — **იუდიტ პოლგარი** — 2555, **მაია ჩიბურდანიძე** — 2520, **უუჟა პოლგარი** — 2510, **ნანა იოსელიანი, პია კრამლინგი** (შვეიცია) — 2480-2480.

ვაუეები: გარი კასპაროვი — 2775, **ანატოლი კარპოვი** — 2750, **ნაიჯელ შორტი** (ინგლისი) — 2650, **ალექსანდრ ბელიავსკი, ჯონათან სპილმენი** (ინგლისი) — 2640-2640.

ცსკა წარუმატებლად თამაშობს

როგორც ცნობილია, კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასს (ვაუები) ესპანეთის „ბარსელონა“ ლიდერობს. ამ გუნდმა მეოთხე ტურში იუგოსლავიის „იუგოპლასტიკას“ უმასპინძლა და დაამარცხა 79:70 (36:31).

კვლავ წარუმატებლად გამოდის ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ცსკა. მეოთხე ტურში იგი საბერძნეთს ეწვია და იქ ადგილობრივ „არისთან“ დამარცხდა — 83:89 (43:47). მატჩის საუკეთესო სნაიპერი იყო ცნობილი ბერძენი კალათბურთელი გალისი, რომელმაც თავის კოლექტივს 37 ქულა შესძინა.

შეგახსენებთ, რომ ცსკა და „არისი“ ერთი კვირის წინ შეხვდნენ ერთმანეთს ლონდონის საახალწლო ტურნირში. მაშინ მოსკოვის არმიელებმა დაამარცხეს მეტოქე 27 ქულით (98:71) და მესამე ადგილი დაიკავეს,

ქალთა ანალოგიურ ტურნირში ნოვოსიბირსკის „დინამომ“ შინ იუგოსლავიის „იადინსტვოს“ აჯობა — 101:88 (52:43). გამარჯვებულთაგან საუკეთესო ბომბარდირი იყო ტატიანა სინელნიკოვა — 20 ქულა, „იადინსტვოში“ — რაზია მუიანოვიჩი — 38 ქულა.

ᲨᲔᲛᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ-ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲜᲘ

ᲒᲘᲝᲢᲔᲑᲝᲠᲑᲘ. როგორც ცნობილია, დეკემბრის მიწურულს გაიმართა დეკანისის თასის გათამაშების ფინალი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიისა და დასავლეთ გერმანიის ჩოგბურთელები. ცნობილია ისიც, რომ გფრ-ის ნაკრებმა ეს შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო — 4:1 და საპატიო პრიზს დაეუფლა. ამ მარცხმა შვეიცარიის ჩოგბურთის მოყვარულთა და ოფიციალური ორგანიზაციების უკმაყოფილება გამოიწვია. და აი, შედეგიც: ეროვნული ნაკრების კაპიტნის პოსტი დატოვა ცნობილმა მწვრთნელმა ჰანს ოლსონმა, რომლის ხელმძღვანელობით შვეიცარიის გუნდი ზედიზედ იქვსი წლის განმავლობაში დეკანისის თასის ფინალში თამაშობდა და სამჯერ საპატიო ჯილდო მოიპოვა.

შვეიცარიის გუნდის ახალ კაპიტნად დაინიშნა 50 წლის ჯონ-ანდერს სიეგრენი — მათს ვილანდერის პერსონალური მწვრთნელი, რომელიც ნაკრებს სათავეში ედგა 1979-1981 წლებში. ახალმა მწვრთნელმა-კაპიტანმა განაცხადა, რომ შვედ ჩოგბურთელებს ყველა შანსი აქვთ თავი გამოიჩინონ დეკანისის თასის წლევანდელ გათამაშებაში. რაც შეეხება ოლსონს, იგი ბავშვთა ჩოგბურთს დაუბრუნდა.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ ფრანგულმა ყოველკვირეულმა „ფრანს ფუტბოლმა“ გამოავლინა საფრანგეთის 1988 წლის საუკეთესო ფეხბურთელი. ეს ტიტული მიეკუთვნა კლუბ „სოშოს“ და საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელს სტეფან პაის.

ს. პაი ახლა 23 წლისაა, მან შარშან წარმატებით ითამაშა საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელმაც 1988 წელს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

საუკეთესოთა სიაში დაახახელეს, აგრეთვე, ცნობილი ფეხბურთელები მანუელ ამორო („მონაკო“) და ჟოელ ბატსი („პარი-სენ-ჟერმენი“).

საფრანგეთში მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელთაგან „ფრანს ფუტბოლმა“ საუკეთესოდ მიიჩნია ინგლისელი გლენ ოდლი, რომელიც „მონაკოში“ გამოდის. გ. ოდლის გარდა დაასახელეს დასავლეთ-გერმანელი კარლ-ჰაინც ფორსტერი, რომელიც „მარსელში“ გამოდის, იუგოსლავიელი ფეხბურთელები მეჰმედ ბაჯარევიჩი („სოშო“) და საფეტ სუსიჩი („პარი-სენ-ჟერმენი“).

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. იუგოსლავიის ნაკრებისა და „ზადარის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა სტოიკო ვრანკოვიჩმა (სიმაღლე 214 სმ) ხელი მოაწერა კონტრაქტს მადრიდის „რეალთან“. ესპანეთში იგი გაემგზავრება 1989 წლის აგვისტოში. ამ კონტრაქტის საფუძველზე ვრანკოვიჩმა მიიღო 750 ათასი დოლარი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვრანკოვიჩი მეორე იუგოსლავიელი კალათბურთელია, რომელიც „რეალმა“ მიიწვია. გუნდში უკვე თამაშობს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი დრაჟენ პეტროვიჩი.

„ᲡᲞᲝᲠᲗᲚᲝᲢᲝ“

ᲡᲞᲝᲠᲗᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი ტირაჟებისა, რომლებიც მიმდინარე წლის 1 იანვარს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 1 726710 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (19 ვარიანტი) მოგება 4073 მანეთია, ოთხისთვის (2266) — 34, სამისთვის (34854) — 3.

„სპორტლოტო“ 5 36“-დან: გაიყიდა 18 476 314 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (39 ვარიანტი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (7 574) — 133, სამისთვის (273 598) — 5.

ᲩᲔᲯᲔᲢᲘᲠᲘᲡ — ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲝᲓᲒᲝᲡᲚᲘᲡ

ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲠᲘᲜᲘ (აშშ). ახალგაზრდა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის პოლო-ატაში საბჭოთა ქალბატონ ნაკრებმა დაამარცხა კანადის გუნდი 7:2 (1:1, 5:0, 1:1) და მერვედ დაეუფლა ოქროს მედლებს. მეორე ადგილი შვეიცარის სპორტსმენებმა დაიკავეს, რომლებმაც უკანასკნელ დღეს აშშ-ს ჰოკეისტებს აჯობეს 3:1. ჩეხოსლოვაკიელებმა მოუგეს ფინელებს (7:2) და მესამე ადგილს დაეუფლნენ. ჩემპიონატის შედეგების მიხედვით საუკეთესო მეკარედ გამოცხადდა ალექსი ივაშკინი (სსრ კავშირი), მცველად — რიკარდ პერსონი (შვეიცარია), თავდამსხმელად — პაველ ბურე (სსრ კავშირი). ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი ჯერემი რენიკმა (აშშ) მიიღო.

ᲐᲓᲔᲚᲐᲘᲓᲐ. სამხრეთ ავსტრალიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის მეორე ტურზე 18 წლის ანდრეი ჩერკასოვი ავსტრალიელ მარკ ვუდფორდთან დამარცხდა — 3:6, 6:7. ამ ტურნირის ერთ-ერთ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს 21 წლის ფინელი ეელი პალოხეიმო, რომელმაც პირველ წრეში იუგოსლავიელ სლობოდან ჟივოინოვიჩთან გამარჯვების შემდეგ ავსტრალიელი როჯერ რაშიდიც დაამარცხა (6:1, 6:3) და მეოთხედფინალში გავიდა. მეოთხედფინალში ითამაშებს ალექსანდრ ვოლკოვიც.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. სეულის ოლიმპიადის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა დოპინგსაწინააღმდეგო კომპანია ჩინეთში. ამ ქვეყნის ძალისანთა ფედერაციის გადაწყვეტილებით დოპინგის მიღებაში პირველად მხილებულ სპორტსმენს ორწლიან დისკვალიფიკაციას მიუსჯიან. განმეორებითს შემთხვევაში კი დამნაშავე სამუდამოდ იქნება დისკვალიფიცირებული.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „ბენ ჯონსონს სამუდამოდ უნდა აეკრძალოს სპორტში გამოსვლა“ — ასეთია ცნობილი ინგლისელი ათეტიდელის დეილი ტომპსონის აზრი. ტომპსონმა, როგორც ცნობილია, ოლიმპიადამდე ტრავმა მიიღო და სეულში იგი მთელი ძალით ვერ გამოვიდა. ახლა ინგლისელი მძლეოსანი ბარსელონის ოლიმპიადისთვის ემზადება და რწმენას გამოთქვამს, რომ ოქროს მედალს მოიპოვებს. თუ ეს მართლაც მოხდა, იგი რეკორდსმენი გახდება, ვინაიდან სამი ოლიმპიური ოქროს მედალი ათეტიდში ჯერ არცერთ სპორტსმენს არ მოუგია.

ᲘᲜᲡᲑᲠᲣᲙᲘ. „ოთხი ტრამპლინის ტურნეს“ მესამე ეტაპი შვეიცელმა იან ბოკლევმა მოიგო (104 და 109 მეტრი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ფინელი არიტეკა ნიკოლა (103 და 105, 5მ) და გდრ-ის წარმომადგენელი იენს ვაისფლოგი (100 და 105 მ). ბოლო, მეოთხე ეტაპის წინ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ვაისფლოგი — 637,5 ქულა, მატი ნიუკიანენი (ფინეთი) — 635,8 ქულა და რისტო ლააკონენი (ფინეთი) — 633,0.

შესარჩევი ტურნირის საგზურისათვის

დაიწყო თბილისის ჭადრაკის სასახლის პირველობის ფინალური ტურნირი. შეჯიბრებაში, რომელიც წრიული სისტემით ტარდება, 16 მოჭადრაკე მონაწილეობს.

წინასწარის მიხედვით მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: რაჩიკ კარტაშიანი, იური ნეჩაევი, ზურაბ ჩაჩუა, ნოდარ გოგაძე, ვიქტორ ტახტაროვი, ვასილ ვაშაკიძე, რევაზ სიგუა, პაატა ვაშაკიძე, თენგიზ ლომაძე, ვაგან არზუმანოვი, გია გოგოხია, კახა პეტრიაშვილი, რევაზ კაკაბაძე, ბექა კვარაცხელია, გორამ ქსოვრელი, ვლადიმერ ჭიქაძე.

გთავაზობთ I-III ტურების ტექნიკურ შედეგებს. **I ტური:** ჩაჩუა-კვარაცხელია — 0:1, ვ. ვაშაკიძე-გოგოხია — 1:0, სიგუა-არზუმანოვი — 1:0, პ. ვაშაკიძე-ლომაძე — 1:0. გადაიდო გოგაძე-კაკაბაძისა და ტახტაროვ-პეტრიაშვილის პარტიები, ხოლო კარტაშიან-ჭიქაძისა და ნეჩაევ-ქსოვრელის შეხვედრები გადატანილია. **II ტური:** ჭიქაძე-ლომაძე — 1:0, პეტრიაშვილი-ვ. ვაშაკიძე — 1:0, ქსოვრელი-ჩაჩუა — 0:1, არზუმანოვი-პ. ვაშაკიძე — 0:1, გადაიდო გოგოხია-სიგუას, კაკაბაძე-ტახტაროვისა და კვარაცხელია-გოგაძის პარტიები. კარტაშიან-ნეჩაევის შეხვედრა კი გადატანილია. **III ტური:** ჩაჩუა-კარტაშიანი — 1:0, ვ. ვაშაკიძე-კაკაბაძე — 0:1, სიგუა-პეტრიაშვილი — 1:0, ტახტაროვი-კვარაცხელია — 0:1, ლომაძე-არზუმანოვი — 1:0, პ. ვაშაკიძე-გოგოხია — 0,5:0,5. გადაიდო ნეჩაევ-ჭიქაძისა და გოგაძე-ქსოვრელის პარტიები.

3 ტურის შემდეგ 2,5 ქულით შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა ოსტატობის კანდიდატი პაატა ვაშაკიძე. 2-2 ქულითა და თითო-თითო გადადებული პარტიით მას კვალში მიჰყვებიან ოსტატობის კანდიდატები ბექა კვარაცხელია და რევაზ სიგუა.

აქვე შეგახსენებთ, რომ პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკე რესპუბლიკური ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საგზურს მიიღებს.

ᲥᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲜᲘ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. დამოუკიდებელი კუბის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენებად მიჩნეული არიან მოკრივე ტეოფილო სტივენსონი და მძლეოსანი ალბერტო ხუანტორენა. რეფერენდუმი ჩაატარა ადგილობრივმა გაზეთმა „ტრაბაჰადორესმა“. ორივე სპორტსმენმა თანაბარი ქულები (1340-1340) დააგროვა.

სტივენსონი, როგორც ცნობილია, ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი გახლავთ მძიმე წონაში. ამასთან, მან სამი ოლიმპიადა მოიგო ზედიზედ: 1972 წელს მიუნჰენში, 1976 წელს — მონრეალში და 1980 წელს — მოსკოვში. ხუანტორენა კი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა მონრეალში. მან 400 და 800 მეტრზე რბენაში იმარჯვა.

გამოკითხვის შედეგად მესამე ადგილზე აღმოჩნდა შუბის მტყორცნელი მარიო კარიდად კოლონი — ოლიმპიადის ერთადერთი ჩემპიონი ქალი ლათინური ამერიკიდან. მან ოლიმპიური ოქროს ჯილდო 1980 წელს მოსკოვში მოიპოვა.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე წელს მუშაობას იწყებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა ფასიანი მოსამზადებელი სამთვიანი კურსები წარმოებიდან მოუწყვეტლივ ხალამოს საათებში შემდეგი განრიგით:

1. თებერვალი, მარტი, აპრილი — საერთო ფიზიკური მომზადება და ჯანმრთელობა, გამაჯანსაღებელი სირბილი, სიარული, სათხილამურო სპორტი, რიტმული ტანვარჯიში, სპორტული ცეკვა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზმომზადება, ატლეტური ტანვარჯიში;

2. მაისი, ივნისი, ივლისი — საერთო ფიზიკური მომზადება და ჯანმრთელობა, რიტმული ტანვარჯიში, ცურვა, ჩოგბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, ბადმინტონი, ვოლეიბოლი, ნიჩბოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, წყალბურთი, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზმომზადება.

3. ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი — საერთო ფიზიკური მომზადება და ჯანმრთელობა, გამაჯანსაღებელი სირბილი, სიარული, ტურიზმი, შთ-ს მრავალჭიდის კომპლექსი, ფიგურული სრიალი, სპორტული ორიენტირება, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზმომზადება, ხელბურთი.

კურსებზე ჩაირიცხებიან ისინი, ვისაც აქვთ პედაგოგიური ან სამედიცინო განათლება, აგრეთვე ისინიც, ვისაც გააჩნია ფიზკულტურულ ორგანიზაციებში შტატში მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი და საკლასიფიკაციო პროგრამით II თანრიგი. საშუალო სპეციალური ანდა უმაღლესი განათლების მქონე პირებისათვის აუცილებელია I თანრიგი, მათთვის კი, ვინც მხოლოდ საშუალო განათლებითაა, საჭიროა ოსტატობის კანდიდატის ან ოსტატის წოდება.

კურსებზე სპეციალობას შეარჩევენ სპორტის სახეობების მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ მსურველის მიერ არჩეული სპეციალიზაცია კურსებზე არ არის და მას თანრიგი აქვს, შესაძლებელია იგი ჩაირიცხოს საერთო ფიზიკური მომზადების სპეციალობით.

თუ მსმენელს თანრიგი რამდენიმე სახეობაში აქვს, სწავლებას გაივლის მხოლოდ ერთი სპეციალობით, მაგრამ მოწმობაში აღინიშნება, რომ მას უფლება აქვს ჩაატაროს მეცადინეობა სპორტის სხვა სახეობაშიც.

მსურველებმა უნდა წარადგინონ მიმართვა რაიონის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტიდან, პირადი განცხადება ან ორგანიზაციის შუამდგომლობა, კადრების სააღრიცხვო ფურცელი, დიპლომის ან ატესტატის ასლი, საკლასიფიკაციო წიგნაკი, სამედიცინო ფორმა №086 და ორი ფოტო-სურათი (3X4 სმ.). არა უგვიანეს 2 დღისა მეცადინეობის დაწყებამდე.

კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელს ეძლევა სპეციალური მოწმობა, რომელიც მას მუშაობის უფლებას აძლევს: ფასიან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში; სამეურნეო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ გაერთიანებებში; საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბებში; ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოყვარულთა კლუბებში; სბავშვო ბაღებში; ჯანმრთელობის სკოლებში, კოოპერატიულ და ინდივიდუალური შრომითი მოღვაწეობის სფეროში არსებულ გამაჯანსაღებელ და სპორტული მეცადინეობების ჯგუფებში.

სპეციალისტები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ, ანდა აქვთ სურვილი იმუშაონ ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციებში, თანახმად საკავშირო სახელმწიფო სპორტკომიტეტის ბრძანებისა, ვალდებულნი არიან მიიღონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორის მოწმობა, ხოლო სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე პირებმა უნდა აიმაღლონ კვალიფიკაცია ყოველ ხუთწლედში ერთხელ.

კურსების მსმენელის გადასახადის ფასი დამოკიდებულია სპეციალიზაციის მიხედვით დაკომპლექტებულ ჯგუფთა წევრების რაოდენობაზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი 49-ა. ტელ. 23-32-69.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი 88485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთი „ კორპუსში, ხიშარაულის ქ. 29. უე 10302